Fahrlässigkeit

Sowohl im **deutschen** als auch im **georgischen Recht** ist fahrlässiges Handeln nur dann strafbar, wenn die Strafbarkeit ausdrücklich gesetzlich angeordnet ist (§ 15 dStGB bzw. Art. 10 Abs. 4 gStGB). Zwar enthält das dStGB keine Legaldefinition der Fahrlässigkeit, jedoch wird insoweit auf § 276 Abs. 2 des Bürgerlichen Gesetzbuches (BGB) zurückgegriffen, wonach fahrlässig handelt, wer die im Verkehr erforderliche Sorgfalt außer Acht lässt. In Georgien hingegen sind sowohl die bewusste (Art. 10 Abs. 2) als auch die unbewusste Fahrlässigkeit (Art. 10 Abs. 3) im gStGB normiert. Über diese beiden Varianten hinaus kennt das deutsche Recht auch die Form der Leichtfertigkeit, unter der eine besonders große Verletzung der gebotenen Sorgfalt verstanden wird. Die Grenze zum Vorsatz verläuft zwischen der bewussten Fahrlässigkeit und dem bedingten Vorsatz (*dolus eventualis*). Für beide Rechtsordnungen ergibt sich somit ein Verständnis der Fahrlässigkeit als Begehung einer objektiven Pflichtwidrigkeit (sog. „Sorgfaltspflichtverletzung“) die der Täter nach seinen subjektiven Kenntnissen und Fähigkeiten vermeiden konnte. Zudem ist bei Erfolgsdelikten für die Erfolgszurechnung erforderlich, dass diese Pflichtwidrigkeit diesen Erfolg objektiv und subjektiv vorhersehbar herbeigeführt hat. Strafbar ist die Verletzung der Sorgfaltspflicht sowohl durch aktives Tun als auch durch Unterlassen. Der fahrlässige Versuch einer Straftat ist nicht möglich. Ebenso ist eine fahrlässige Teilnahme ausgeschlossen. Während sich in der deutschen Rechtsprechung die Möglichkeit der fahrlässigen Mittäterschaft noch nicht durchsetzen konnte, wird diese in Georgien als „parallele Mittäterschaft“ im Rahmen der gesetzlichen Reglung der Täterschaftsformen (Art. 22 gStGB) anerkannt. (Mpi/Gtu)

გაუფრთხილებლობა

როგორც **გერმანულ** ისე **ქართულ სამართალში** გაუფრთხილებლობით ჩადენილი ქმედება მხოლოდ მაშინ ითვლება დანაშაულად, როდესაც მისი დასჯადობა ცალსახად არის კანონით დადგენილი (გსსკ-ის 15-ე პარაგრაფი, ასევე სსსკ-ის მე-10 მუხლის მე-4 ნაწილი). მართალია, გსსკ არ ითვალისწინებს გაუფრთხილებლობის საკანონმდებლო დეფინიციას, თუმცა იგი ამ შემთხვევაში ეყრდნობა გერმანული სამოქალაქო კოდექსის 276-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილს, რომლის მიხედვითაც, გაუფრთხილებლობით მოქმედებს ის, ვინც ცალკეულ ურთიერთობებში უგულვებელყოფს საჭირო წინდახედულობას. ამისგან განსხვავებით, საქართველოში სსსკ-ით არის განსაზღვრული როგორც გაცნობიერებული (თვითიმედოვნება) (სსსკ-ის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილი) ისე გაუცნობიერებული (დაუდევრობა) (სსსკ-ის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილი) გაუფრთხილებლობა. ამ ორი ვარიანტის გარდა, გერმანული სამართალი იცნობს უყურადღებობის ფორმასაც, რომლის ქვეშაც მოიაზრება წინდახედულობის ნორმების განსაკუთრებით მაღალი ხარისხით დარღვევა. ზღვარი განზრახვასთან გადის გაცნობიერებულ გაუფრთხილებლობასა (დაუდევრობასა) და არაპირდაპირ

(ევენტუალურ) განზრახვას შორის. მაშასადამე ორივე კანონმდებლობაში გაუფრთხილებლობა გაგებულია, როგორც მოვალეობათა ობიექტური დარღვევა (ე.წ. „წინდახედულობის ვალდებულების დარღვევა“), რომლის თავიდან არიდება დამნაშავეს თავისი სუბიექტური ცოდნიდან და შესაძლებლობებიდან გამომდინარე შეეძლო. ამასთან, შედეგიან დანაშაულებში შედეგის ობიექტური შერაცხვისთვის სავალდებულოა, რომ მოვალეობის საწინააღმდეგო შედეგის დადგომის გათვალისწინება იყო ობიექტურად და სუბიექტურად შესაძლებელი. გაურთხილებლობით დანაშაულის მცდელობა არის შეუძლებელი. ასევე გაუფრთხილებლობით დანაშაულში თანამონაწილეობა არის გამორიცხული. მაშინ როდესაც გერმანულ სამოსამართლეო სამართალში გაუფრთხილებლობით თანაამსრულებლობის შესაძლებლობა ჯერ კიდევ არ არის დამკვიდრებული, აღნიშნული საქართველოში აღიარებულია როგორც „პარალელური თანაამსრულებლობა“ ამსრულებლობის ფორმების შესახებ საკანონმდებლო რეგულაციის ფარგლებში (სსსკ-ის 22-ე მუხლი). (Mpi/Gtu)